



სატენდერო დოკუმენტაცია

ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები, წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები
და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის (CPV 22800000)
სახელმწიფო შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

2017 წელი
თბილისი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.
2. ტექნიკური დოკუმენტაცია.
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.
4. დანართი №1 - რეკვიზიტები.
5. დანართი №2 - ფასების ცხრილი.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა).

1.2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.6. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის - „კითხვა/პასუხი“ მეშვეობით.

1.7. შესყიდვის პროცედურების შესახებ ინფორმაციისა და განმარტებების მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი: ფრიდონ პეტრიაშვილი, ტელ: 202-27-22.

2 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

N	2.2. დასახელება	მახასიათებელი	რაოდ. (ცალი)
1	დოკუმენტების გადაცემის ჟურნალი	ზომა ა4,100 ფურც.შიგთავსი 80 გრ ოფსეტური ქაღალდი გვერდები დანომრილი,ყდა ბუველინის მასალისაგან დამზადებული, ბუველინის ფერი დამკვეთთან შეთანხმებით.	2
2	მომზადებული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა 18)	ზომა ა4,100 ფურც.შიგთავსი 80 გრ ოფსეტური ქაღალდი, გვერდები დანომრილი,ყდა ბუველინის მასალისაგან დამზადებული, ბუველინის ფერი დამკვეთთან შეთანხმებით.	30
3	შემოსული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა 22)	ზომა ა4,100 ფურც.შიგთავსი 80 გრ ოფსეტური ქაღალდი, გვერდები დანომრილი,ყდა ბუველინის მასალისაგან დამზადებული, ბუველინის ფერი დამკვეთთან შეთანხმებით.	10
4	განმკარგულელებელი დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალი	ზომა ა4,100 ფურც.შიგთავსი 80 გრ ოფსეტური ქაღალდი, გვერდები დანომრილი,ყდა ბუველინის მასალისაგან დამზადებული, ბუველინის ფერი დამკვეთთან შეთანხმებით.	5
5	საგანმკარგულებო დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა 29)	ზომა ა4,100 ფურც.შიგთავსი 80 გრ ოფსეტური ქაღალდი, გვერდები დანომრილი,ყდა ბუველინის მასალისაგან დამზადებული, ბუველინის ფერი დამკვეთთან შეთანხმებით.	5
6	სამსახურის უფროსის ბრძანების ბლანკი	120 გრ.ქაღალდი ლინენი,თეთრი ან ბეჟი ფერის,წყლის ნიშნით,ნუმერაციით	2000
7	სამსახურის უფროსის მოადგილის ბრძანების ბლანკი	120 გრ.ქაღალდი ლინენი,თეთრი ან ბეჟი ფერის,წყლის ნიშნით,ნუმერაციით	3000
8	სამსახურის წერილის ბლანკი	120 გრ.ქაღალდი ლინენი,თეთრი ან ბეჟი ფერის,წყლის ნიშნით,ნუმერაციით	3000
9	სამსახურის უფროსის წერილი ბლანკი (ინგლისურენოვანი)	120 გრ.ქაღალდი ლინენი,თეთრი ან ბეჟი ფერისწყლის ნიშნით,ნუმერაციით	1000
10	ოპერატიული დადგენის ბლანკი	120გრ. დაცული ქაღალდი ცგრფ110 გრ, თეთრი ან ბეჟ ფერის უკანა მხარეს ნუმერაციით	1000
11	საქმის ყდები (საიდუმლო და არასაიდუმლო)	მუყოსაგან დამზადებული 250 ფურცლისათვის განკუთვნილი,ფურცლების დამჭერი ადგილი ტყავის შემცველისაგან დამზადებული არანაკლები 7სმ . ფურცლების დამჭერი ფრთების სიმაღლე არანაკლები 3.5სმისა.	600
12	სპეცმასალების ყდა	ზომა ა3 , ბრისტოლი 250 გრ, წარწერებით გარეკანზე	100
13	პირადი საქმის ყდა	ყდა მუყაო. დაკეცილ მდგომარეობაში ა4 ზომის, ზვიდან და ქვემოდან გადასაკეცი ფრთების სიგანე 19 სმ.ყდაზე მეორე გვერდზე დაწებულია ა6 ზომის კონვერტი, ხოლო ყდის მესამე გვერდზე ა5 კონვერტი, რომელზედაც დაბეჭდილია ტექსტი, ყდის შუაში ჩაკერებულია 2 ა3 ზომის 120 გრამიან ფურცელი , რომელთა შორისაც არის ფურცლების დამჭერები არანაკლებ 3სმ სიმაღლის 6 ცალი. ჩასაკერებელი საბუთების სამაგრი მაღალი ხარისხის.საქმის ყდა იკვრება დეკორატიული თოკით	200
14	შემოწმების ბლანკი (ფორმა 32)	ზომა 17X12,5სმ.350გრ მუყაო,ორმხრივი ბეჭდვა.ა5 ზომის, ნითელი ზოლით	50
15	დადგენილების ბლანკი (ფორმა N1)	ზომა ა4,120 გრ.ოფსეტური ქაღალდი,	150
16	დადგენილების ბლანკი (ფორმა N50)	ზომა ა4,120გრ. ოფსეტური ქაღალდი	150

2.3. ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი უნდა შეიცავდეს როგორც საქონლის ღირებულებას ისე აღნიშნული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

2.3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.

2.3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარულ დღეში.

2.3.4. წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

2.3.5. დაფინანსების წყარო: 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.4. საქონლის მიწოდების ვადები, ადგილი და სავარაუდო ღირებულება:

2.4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

2.4.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი.

2.4.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 7245 (შვიდიათას ორას ორმოცდახუთი) ლარი.

2.5. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.5.1. პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი №1-ის შესაბამისად;

2.5.2. მისაწოდებელი საქონლის ფასების ცხრილი, ტექნიკური მახასიათებლები დანართი №2-ის შესაბამისად;

• სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

• გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

• გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის 2¹ პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშგაქტურით (ინვოისით) .

3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი

„-----“ „-----“ 2017 წ.

საქართველოს დაზვერვის სამსახური, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი ----- სახით და -----, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ქალაქის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები, წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი პროდუქცია (CPV 22800000), ქალაქის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები, წიგნები (CPV 22810000), ფორმები (CPV 22820000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 1.8. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 1.9. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.10. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

- 1.11. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - ა) განხორციელოს ხელშეკრულების დანართით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- დღის ვადაში ქ. თბილისში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

1.12. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან _____.

6. ინსპექტირება

1.13. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

1.14. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

1.15. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ საქონელს აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს წუნი ან ჩაანაცვლოს დაზიანებული საქონელი ახლით.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

1.16. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

8. ანგარიშსწორება

1.17. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო - 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

1.18. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1.19. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

1.20. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1.21. წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

1.22. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

1.23. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების 0.5%-ის ოდენობით.

1.24. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

1.25. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1.26. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

1.27. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

1.28. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

1.29. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1.30. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

1.31. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

1.32. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის ----- ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

1.33. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

1.34. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

1.35. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს დაზვერვის სამსახური,
წარმოდგენილი
----- სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. 4,
ტელეფონი: _____,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № _____,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი _____,
სკ _____

მიმწოდებელი:

-----,
წარმოდგენილი დირექტორის
----- სახით,
მისამართი: -----,
ტელეფონი: -----,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № -----,
-----, კოდი: -----,
სკ - -----

პრეტენდენტის რეკვიზიტები

იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის დასახელება:

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება:

საქონლის დასახელება (მწარმოებელი ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია	ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება (ლარი)

საქონლის მიწოდების ვადა:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა :